საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3056/01
20/03/2020

3056-01-2-202003201601

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ N3704 წერილით წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზედა ჭალადიდში, მდ. რიონის ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელების პროექტს და გაცნობებთ შემდეგს:

წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში თანდართულ ნახაზებში მოცემულია ინფორმაცია კალაპოტის ზოგადი მაქსიმალური წარეცხვის შესახებ, ხოლო ტექსტურ ნაწილში არ არის მოცემული რომელი მეთოდით და ფორმულის გამოყენებით მოხდა აღნიშნული პარამეტრების განსაზღვრა.

სკრინინგის განცხადებასთან ერთად თანდართული Shape ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ წარმოდგენილი მთლიანი 8253 $მ^2$ ფართობიდან „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს N299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 3380 $მ^2$ მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდში. კერძოდ, კოლხეთის სატყეო უბნის სენაკის სატყეოში, ყოფილი საკოლმეურნეო ტყე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე საქმიანობა საჭიროებს შეთანხმებას სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან და შეთანხმებასთან დაკავშირებით ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას სკრინინგის განცხადებაში.

წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ნაპირსამაგრი ღონისძიებების განხორციელების ეტაპზე იქტიოფაუნაზე ზემოქმედების შესახებ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკრინინგის განცხადებაში შესაბამისი კვლევების საფუძველზე, უნდა იყოს განხილული ფლორასა და ფაუნაზე, ასევე იქტიოფაუნაზე ზემოქმედების საკითხები.
- სკრინინგის განცხადებაში აგრეთვე მოცემული უნდა იყოს ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია.

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლთან და საკარმიდამო ნაკვეთებთან დაცილების მანძილები.
- სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნას ერთიანი შრიფტით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს თქვენ მიერ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება. სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით განახლებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე